საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-12/69

ქ. ბათუმი 10 მაისი, 2023 წ.

ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში სტაჟიორთა დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 11 აპრილის N01-10/50 ბრძანების, „ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 01 მაისის N01-10/61 ბრძანებისა და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 08 მაისის N517450 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 11 აპრილის NN01-10/50 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული კონკურსის შედეგად, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში 2023 წლის 10 მაისიდან 2023 წლის 10 ივნისამდე დაინიშნონ სტაჟიორებად (ანაზღაურების გარეშე) შემდეგი პირები:

ა) შალვა შალიკაძე (პ/ნ 61006070072) - ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტი;

ბ) გოგა ბაუჟაძე (პ/ნ 61004062649) - ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტი;

გ) მაგდა ქათამაძე (პ/ნ 61010018774) - ბსუ-ს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 სასწავლო წლის სტუდენტი;

დ) ნაირა ვარდმანიძე (პ/ნ 61001084136) - ბსუ-ს ლიტერატურის თეორია და ქართული ლიტერატურათმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წლის სტუდენტი.

2. სტაჟიორების სამუშაო განრიგი და ცვლაში მუშაობის რიგითობა განისაზღვროს კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ.

3. სტაჟიორთა ხელმძღვანელად დაინიშნოს ბსუ-ს კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი ლევან ტარიელაძე.
4. ბსუ-ს კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსს დაევალოს არაუგვიანეს 10 ივნისს წარმოადგინოს სტაჟიორების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში.
5. ბრძანება პერსონალური მონაცემების დაცვით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: კონკურსები; ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აქტები).
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, რექტორის აპარატს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს იურიდიულ დეპარატმენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და სტაჟიორებს.
7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
ასოცირებული პროფესორი

მერაბ დიასამიძე